

საპარტვილოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

აღსვდივის სასკალხო კომისსარიაცვის გამოსეცვა

1928 წ. აპიის 9

№ 6

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

- 43. დადგენილება № 19 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ადგილობრივი საბჭოება რეკანობის მოვალეობის შესახებ ტერიტორიული ჯარების საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში.
- 44. დადგენილება № 20 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სსრკ. საბჭ. რესპ. სასამართლოს წესობილების დებულების 103 და 104 მუხლების შეცვლის შესახებ.
- 45. დადგენილება № 21 ც. ა. კ.—ფრილობისა, კონფერენციისა, პლენუმისა და თათბირის მონაწილეთა საწარედინებო სარგოს შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებანი.

46. ინსტრუქცია ც. ა. კ.—ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. დ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. სექტემბრის 5-ს დამტკიცებულ სოფლის მონახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების შეფარდებისათვის.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

- 47. დადგენილება ს. კ. ს.—სამუშაო საათების განმავლობაში თათბირების და კრებების მოწვევის აკრძალვის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.
- 48. დადგენილება ს. კ. ს.—მდინარე რიონზე ბორნების გადაკეთებისა და მათი მოვლის წესის შესახებ.
- 49. დადგენილება ს. კ. ს.—1927-28 წ. აღმშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- 50. დადგენილება ს. კ. ს.—საქალაქო მიწების რენტის გადასახდევინებლად ქალაქების კლასებად დაყოფის შესახებ.
- 51. დადგენილება ს. კ. ს.—წერილი და მონამრეწველურ-ხელოსნური მრეწველობის გამოკლდვის შესახებ.



ქართული ენის ინსტიტუტი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის მისამართი

თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის მისამართი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის მისამართი

მთავლიტი № 893.

დაიბეჭდა 1.250.

სენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

43. დადგენილება № 19 ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მოვალეობის შესახებ ტერიტორიალური
ჯარების საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ცვალებადი შედგენილობის ცენტრალური ჯარების მთელი მუშაობა, რაც კი ყველა იმ განსაზღვრულ რაიონის სამხედრო-ვალდებულ მოსახლეობაზე ვრცელდება, სადაც ჯარის ნაწილების შეესება სწარმოებს, განხორციელებულ უნდა იქნეს იმ რაიონის ყველა საბჭოთა ორგანოს უშუალო და შეთანხმებული მონაწილეობით.

2. სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა მიიღოს ყოველი ღონისძიება ტერიტორიალური ჯარის ნაწილის განმტკიცებისა და საომარი და პოლიტიკური აღზრდისათვის, კერძოდ:

ა) ხელი შეუწყოს ტერიტორიალური ჯარის მაზრის ფარგალში რაიონებზე დაყოფის საქმეს;

ბ) ხელი შეუწყოს მაზრის ტერიტორიაზე ადამიანთა და ცხენთა რესურსების რაც შეიძლება სრულ და რაციონალურ გამოყენებას ტერიტორიალური ჯარის შეესებისათვის;

გ) მონაწილეობა მიიღოს ტერიტორიალური ჯარის ცვალებადი შედგენილობის მომზადებისათვის მუშაობის ვადების დაწესებაში;

დ) მოამზადოს ავრტაციის მეშვეობით მოსახლეობა სწავლებისა და სასწავლო შეკრების დაწყების წინ;

ე) გასცეს განკარგულება, რათა ცვალებად შედგენილობის პირთ ეცნობოს სწავლების შეკრებისა და სასწავლო შეკრების დრო;

ვ) გასცეს სახელმძღვანელო განკარგულება, რაც უზრუნველყოფს ცვალებადი შედგენილობის პირთა თავის დროზე გამოცხადებას როგორც სწავლებისათვის და სასწავლო შეკრებაზე, ისე მობილიზაციის დროს, აგრეთვე გამოაცხადოს სასწავლო შეკრებაზე გამოცხადებისაგან, ცხენების მოყვანისა და საზიდავ საშუალებათა და შესაბამელობის ჩაბარებისაგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი;

ზ) მონაწილეობა მიიღოს საშეკრებათაშორისო მუშაობაში ცვალებადი შედგენილობის პირთა შორის.

▲ **შენიშვნა.** ადგილობრივი სახსარიდან ტერიტორიალური ჯარის საჭიროებისათვის გამოსაყოფი ხარჯების ნუსხა განისაზღვრება ა/კლფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებით.

3. სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოს დაეკისრება შემდეგი მოვალეობა:

ა) მოახდინოს წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაცია საწვევამდგომ ასაკის ახალგაზრდობის შორის და წერაკითხვის მცირე ცოდნის ლიკვიდაცია ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის;

ბ) აწარმოოს პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა წვევამდგომ შორის შერეულიდან შერეებამდე მიმდინარე პერიოდში, ხოლო ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახურთა შორის—მათი შევებულებაში ყოფნის დროს;

გ) ყოველმხრივ ხელი შეუწყოს და საჭირო მატერიალური სახსარი გაილოს სამხედრო-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის წვევამდგომ შორის შერეულიდან შერეებამდე მიმდინარე პერიოდში, ხოლო ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახურთა შორის—მათი შევებულებაში ყოფნის დროს;

დ) მოაწიოს სამხედრო კუთხეები ყველა საგანმანათლებლო ორგანიზაციაში და ქოხ-სამკითხველოში.

4. განმრთვლობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოს დაეკისრება:

ა) სამკურნალო-სასანიტარო დახმარება გაუწიოს წვევამდგომ საწვევამდგომ მომხადების პერიოდში სამხედრო-სასწავლო ან შერეების პუნქტზე, ხოლო ტერიტორიალური ჯარის ცვალებად შედგენილობის პირთ—მოკლე-ვადიანი შერეების დროს, აგრეთვე ახალწვეულთ—ტერიტორიალურ ჯარში დასანიშნად ყოველწლიური სამორიგეო გაწვევის დროს;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოსახლეობაში სათანადო ცოდნის გასავრცელებლად, განსაკუთრებით ჭიმოური თავდაცვის სფეროში;

გ) აწარმოოს სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობა წვევამდგომ და ცვალებადი შედგენილობის პირთა შორის.

5. ადგილობრივი საადგილ-მამულო ორგანოს დაეკისრება:

ა) ხელი შეუწყოს ტერიტორიალურ ჯარსა ჯარის შევსების რაიონის სავეტერინარო გაჯანსაღებისათვის და მომსახურეობა გაუწიოს მას და აგრეთვე სამხედრო-სასწავლო პუნქტებს სავეტერინარო საქმეში;

ბ) გაუწიოს უპირატესი და უფასო სამკურნალო დახმარება ტერიტორიალურ ჯარზე მიწერილ ცხენთა შედგენილობასა და აგრეთვე ჯარის ნაწილიდან სამხედრო-სასწავლო პუნქტებისათვის გამოყოფილ ცხენთა შედგენილობას;

გ) მონაწილეობა მიიღოს ცხენთა შედგენილობის ტერიტორიალურ ჯარზე მიწერილ და მოსახლეობისაგან სასწავლო შერეებისათვის მიმღები კომისიის მუშაობაში;

დ) აწარმოოს სავეტერინარო-საგანმანათლებლო მუშაობა წვევამდგომ და ცვალებადი შედგენილობის პირთა შორის.

6. სათემო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) აღწესდეს თემის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა სამხედრო-ვალდებულ და ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახური, მოამქმედი სააღწესხვო დეტალების თანახმად;



ბ) თავის დროზე აცნობოს, არსებული წესისამებრ, ჯარის ნაწილის მეთაურს ყველა ის შემთხვევა, როდესაც ცვალებადი შედგენილობის პირი, შევბუღებაში ყოფნის დროს, წავა სადმე ან სხვა ადგილას გადავა;

გ) თვალყური ადევნოს და შეამოწმოს ცვალებადი შედგენილობის სააღმსრებლო ცნობების მდგომარეობა;

დ) თავის დროზე შეატყობინოს ცვალებად შედგენილობის პირთ და სამხედრო-ვალდებულთ როგორც სწავლებისა, სასწავლო და მოკლევადიანი შეკრებისა, ისე სამხედრო მომზადების მეცადინეობის ვადები;

ე) თვალყური ადევნოს, რათა ცვალებადი შედგენილობის პირნი და სამხედრო-ვალდებულნი თავის დროზე გამოცხადდნენ სწავლებისათვის და სასწავლო შეკრებაზე, აგრეთვე სამხედრო მომზადების მეცადინეობაზე;

ვ) მიიღოს ღონისძიება მათ მოსაძებნად, ვინც არ გამოცხადდა და თავი აარიდა გამოცხადებას;

ზ) მიუჩინოს დაწესებული სასყიდლით სადგომი უფროსთა შედგენილობას, რომელიც მივა თემის ტერიტორიაზე სამხედრო მუშაობისათვის, აგრეთვე ცვალებად შედგენილობასთან მეცადინეობისათვის და სამხედრო-ვალდებულებთან მეცადინეობისათვის;

თ) თვალყური ადევნოს და შეამოწმოს მიწერილი ცხენთა შედგენილობის აღნუსხვის მდგომარეობა;

ი) დაიცვას სამხედრო-სასწავლო პუნქტები შეკრებიდან შეკრებამდე მიმდინარე პერიოდში;

კ) მონაწილეობა მიიღოს ტერიტორიალური ჯარის მთელს მუშაობაში, როგორც ცვალებადი შედგენილობის პირთა შორის შეკრებიდან შეკრებამდე მიმდინარე პერიოდში, ისე მოსახლეობის სამხედრო მომზადების დროს.

შენიშვნა. ამა მუხლის „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „ი“ და „კ“ პუნქტებში აღნიშნული ფუნქციების აღსრულება საქართველოს სსრ იმ ადგილას, სადაც სოფლის საბჭოა მოწყობილი, დაეკისრება აგრეთვე ამ საბჭოსაც.

7. მუშაობის წარმატებით განხორციელებისათვის ყველა საბჭოთა ორგანო მოვალეა თავის მუშაობის გეგმაში გაითვალისწინოს ყოველგვარი სამუშაო, რაც კი დაკავშირებულია ტერიტორიალური ჯარის მუშაობასთან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. აპრილის 18.

ტფილისი—სასაბჭო.

44. დადგენილება № 20 ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სასამართლოს წყობილების დებულების 103 და 104 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სასამართლოს წყობილების დებულების 103 და 104 მუხლები შეცვლილი იქნენ შემდეგნაირად:

მუხ. 103. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და საკასაციო და სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარენი შეადგენენ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს, რომელსაც დაეკისრება:

1. უზენაესი სასამართლოს და მასთან არსებულ დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მართველობის სფეროში:

ა) მოვალეობის განაწილება უზენაესი სასამართლოს წევრთა შორის;

ბ) უზენაესი სასამართლოს წევრთაგან სასამართლოს სპეციალური შედგენილობის დანიშვნა იმ ცალკე საქმეთა გამო, რაც უნდა განიხილოს სასამართლო კოლეგიაში;

გ) ცალკე კოლეგიების ანგარიშგების გადათვლიერება და დამტკიცება და უზენაესი სასამართლოს ანგარიშგების შედგენა.

2. სასამართლო დაწესებულებათა ზედამხედველობის სფეროში:

ა) სამაზრო და სახალხო მოსამართლეების დახასიათებათა განხილვა, რასაც უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ საკასაციო კოლეგიები მათ მიერ საკასაციო და ზედამხედველობის წესით განხილულ საქმეთა მიხედვით;

ბ) წინადადების წარდგენა იუსტიციის სახალხო კომისარისათვის სამაზრო და სახალხო სასამართლოების მორიგი რევიზიებისა, ამ სასამართლოების პირადი შედგენილობის შეცვლისა და სამაზრო და სახალხო სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო დირექტივების მიცემის შესახებ, ახსნა-განმარტებისათვის სამაზრო და სახალხო მოსამართლეების გამოწვევით ან უაშისოდ;

გ) რესპუბლიკის პროკურორის წინადადებით და საკუთარი თაოსნობითაც, კერძოდ, იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასტურით, საკასაციო კოლეგიების წარდგენის თანახმად, სამაზრო და სახალხო სასამართლოების სპეციალური რევიზიის დანიშვნა, ამ რევიზიის შედეგის განხილვა იმ სამაზრო მოსამართლის მოწვევით, რომელსაც რევიზია გაუყეთდა, და იუსტიციის სახალხო კომისრის ან მისი მოადგილის აუცილებელი დასწრებით;

დ) უზენაესი სასამართლოს კოლეგიებისა და რესპუბლიკის ყოველი სასამართლოს განაჩენისა, გადაწყვეტილებისა და დადგენილების ზედამხედველობის წესით გაუქმების ან შეცვლის გამო იმ საკითხების წინასწარი განხილვა, რასაც, სისხ. სამ. საპრ. და სამ. სამ. საპრ. კოდექსების წესისამებრ, შეიტანენ სრულიად

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში თავის დადგენილებასამებრ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, რესპუბლიკის პროკურორი ან უზენაეს სასამართლოსთან განწყობილი მისი თანაშემწე, აგრეთვე ის პირი, ვინც თავმჯდომარეობდა უზენაეს სასამართლოს კოლეგიების სხდომებზე, და ამ კოლეგიების პროკურორები.

უკეთეს განსახილველი საქმის გამო საქირო არ იქნება პრინციპალური განმარტების მიცემა, უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმს უფლება აქვს არ შეიტანოს საქმე უზენაესი სასამართლოს პლენუმში და გამოიტანოს დადგენილება — ზედამხედველობის წესით ამა თუ იმ საქმის გამო მიღებული განაჩენისა, გადაწყვეტილების ან დადგენილების გაუქმების შესახებ და საქმე ხელახალი განხილვისათვის უზენაეს სასამართლოს სათანადო კოლეგიას გადასცეს;

ე) უზენაესი სასამართლოს წევრთა და სამაზრო და სახალხო მოსამართლეთა წინააღმდეგ სადისციპლინო წესით დევნის აღძვრა, როგორც სასამართლოების რევიზიის შედეგის მიხედვით ან საკასაციო კოლეგიების წარდგენის თანახმად, ისე რესპუბლიკის პროკურორის ცალკე შეტყობინების თანახმად, და სხენებულ პირთათვის სადისციპლინო წესით სასჯელის დადება იმ უფლებების ფარგალში, რაც პრეზიდიუმს მინიჭებული აქვს;

ვ) უზენაესი სასამართლოს პლენუმის მოწვევა და მისთვის მასალის დაზიდვა.

შენიშვნა 1. მოხსენება მორიგი რევიზიის შედეგის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს განსახილველად იუსტიციის სახალხო კომისიარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილების მიერ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმში.

შენიშვნა 2. პრეზიდიუმის სხდომებს, სათანაბრო ხმის უფლებით, აუცილებლად დაესწრება უზენაეს სასამართლოსთან განწყობილი თანაშემწე რესპუბლიკის პროკურორისა, ხოლო იმ საკითხების განხილვის დროს, რაც ზედამხედველობის განწევას შეეხება, იუსტიციის სახალხო კომისიარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილების გამგე; ამასთანავე, უკეთეს ეს უკანასკნელი არ დაეთანხმება პრეზიდიუმის დადგენილებას ამა მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ საკითხების გამო, დადგენილება იგი გადაეცემა იუსტიციის სახალხო კომისარის საბოლოო გადაწყვეტისათვის.

მუხ. 104. უზენაეს სასამართლოს პლენარული სხდომა შესდგება ამ სასამართლოს ყველა თანამყოფ წევრისაგან, ხოლო არა ნაკლებ მთელი შედგენილობის ნახევარისა, რესპუბლიკის პროკურორის ან მისი თანაშემწის აუცილებელი დასწრებით. პლენარულ სხდომას დაეკისრება:

ა) კანონების განმარტება საპროცესო და მატერიალურ სამართლის დარგში სასამართლოს პრაქტიკის ყველა საკითხის გამო, რასაც აღძრავს უზენაესი სასამართლოს ცალკე კოლეგია ან ამა თუ იმ კოლეგიის სამსჯავრო სხდომის ცალკე შედგენილობა, ან უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის, ან რესპუბლიკის პროკურორის, ან უზენაეს სასამართლოსთან განწყობილი მისი თანაშემწის წარდგენით. უზენაესი სასამართლოს პლენუმის განმარტება სავალდებულოა ყველა სასა-

მართლო დაწესებულებისათვის, რომელიც კი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედობს;

ბ) უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის იმ დადგენილების განხილვა და დამტკიცება, რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს სამსჯავრო და საეკსაცმო კოლეგიისა და რესპუბლიკის ყოველი სასამართლოს ისეთ გადაწყვეტილებისა და დადგენილების გაუქმებას ან შეცვლას, რომელსაც უზენაესი სასამართლოს გადასცემს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თავის დადგენილებისამებრ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და რესპუბლიკის პროკურორი, ან რომელზედაც პროტესტს შეიტანს კოლეგიის თავმჯდომარე ან პროკურორი;

გ) უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის ცირკულარების დამტკიცება და უზენაესი სასამართლოს პლენუმში და პრეზიდიუმში შეტანილი სხვა საკითხების განხილვა;

დ) უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის არჩევა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. დ. აფციაური.

1978 წ. აპრილის 18.

ტფილისი—სასახლე.

45. დადგენილება № 21 ც. ა. კ.

ყრილობისა, კონფერენციისა, პლენუმისა და თათბირის მონაწილეთა საწარგუნებო ხარგოს შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ყრილობისა, კონფერენციისა, პლენუმისა და თათბირის მონაწილეთათვის საწარგუნებო ხარგოს მიცემის შესახებ* 1927 წ. ოქტომბრის 25-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და საბჭოთა ადგილობრივი ყრილობისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სესიების მონაწილენი გზაში ყოფნის დროს, როდესაც იმ ქალაქში მიდიან ან უკან პარუნდებიან, სადაც საბჭოთა ყრილობაა მოწვეული ან დანიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სესია, მიიღებენ დღიურ ხარგოს არა უმეტეს მათი თვიური ჯამაგირის 1/30-სა; ყრილობისა და კომიტეტის სესიის იმ მონა-

წილეთ, რომელნიც მუდმივ ჯამაგირს არ იღებენ, დღიური სარგო მიეცემათ მახრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა თვიური ჯამაგირის $\frac{1}{30}$ ანგარიშით.

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და საბჭოთა ადგილობრივ ყრილობის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სესიის მონაწილენი მიიღებენ კმაყოფისა და ბინას ნატურად ან ფულად. კმაყოფის ნაცვლად შეიძლება მიეცეს დღიური სარგო წინა მუხლში განსაზღვრული რაოდენობით, ხოლო ბინის ნაცვლად—ფული იმ რაოდენობით, რაც განსაზღვრულია სსრკ ცენტრ. აღმ. კომიტეტისა და სახ. კომ. საბჭოს 1927 წ. იანვრის 14-ის დადგენილებით „სსრკ ფარგლებში სამსახურის გამო წარვლინებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 42).

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს სასყიდლო სესიების განმავლობაში მიეცემათ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულებით განსაზღვრული წესისამებრ.

4. საუწყებო ყრილობისა, კონფერენციისა, თათბირისა და სხვ. წევრები კმაყოფის მიიღებენ სსრკ ცენტრ. აღმ. კ-ტისა და სახ. კომ. საბჭოს მიერ „სსრკ ფარგლებში სამსახურის გამო წარვლინებათა შესახებ“ 1927 წ. იანვრის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მიხედვით (სსრ კავშირის კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 42).

5. სრულიად საქართველოს და ადგილობრივ საბჭოთა ყრილობის და აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრს სათანადო ყრილობაზე და აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე წასვლა-მოსვლისათვის საჭირო სამგზავრო ფული მიეცემა რბილი ვაგონის ტარიფით.

6. საუწყებო ყრილობისა, თათბირისა და კონფერენციის მუშა-წევრებს, რომელნიც ვაზში და ყრილობისა, თათბირისა და კონფერენციის ადგილას ყოფნის დროს საწარმოსაგან ჯამაგირს არ იღებენ, სათანადო დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული კმაყოფის გარდა, უნდა მისცეს დღიური მათი საშუალო სამუშაო საშროვის $\frac{1}{30}$ რაოდენობით.

7. დღიური სარგო ვაზში ყოფნის დროს (მუხ. 1) წინაუკმოდ, აგრეთვე საგზაო ხარჯი (მუხ. 5) ვაიცემა იმ ორგანოს, დაწესებულებისა და საწარმოს მიერ, რომელიც ჰგზავნის დელეგატს ყრილობაზე, კონფერენციაზე და თათბირზე. კმაყოფისა და ბინას ნატურად ყრილობისა, კონფერენციის ან თათბირის მოწვევის ადგილზე ან ამის ნაცვლად ფულს ვასცემს ის ორგანო, დაწესებულება და საწარმო, რომელიც იწვევს ყრილობას, კონფერენციას ან თათბირს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდიენის მაგ. დ. აფციაური.

1928 წ. აპრილის 18.

ტფილისი—სასახლე.

სენატრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებანი.

46. ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარია საბჭოს მიერ 1927 წ. სექტემბრის 4-ს დამტკიცებული სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარია საბჭოს მიერ—სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების დამტკიცების შესახებ 1927 წ. სექტემბრის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამყარებს შემდეგ წესს აღნიშნული დებულების შეფარდებისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე:

1. მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარზე ვაწვევის საჭიროება გზატკეცილებისა, შარავებისა და საგზაო ნაგებობათა მოწყობისა, შეკეთებისა და შენახვისათვის საჭირო სამუშაოების წლიური გეგმის შესასრულებლად გამორკვეულ უნდა იქნეს: რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის—ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველოების მიერ, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის—სათანადო მაზრალმასკომების მიერ (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ); ამასთან ერთად შემუშავებულ უნდა იქნეს მომავალი საბიუჯეტო წლისათვის საგზაო მშენებლობის საერთო გეგმები და ხარჯთაღრიცხვები.

2. წინა მუხლში აღნიშნულმა ორგანოებმა, საგზაო მშენებლობის წლიური გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების რესპუბლიკანურ ზემდგომ ორგანოებში განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენამდე, უნდა აღმზრდნენ საკითხი საგზაო მშენებლობისათვის მოსახლეობის ვაწვევის თაობაზე სათანადო დადგენილების გამოტანის შესახებ: რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის—სათანადო სამაზრო აღმ. კ-ტის წინაშე (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში—ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების წინაშე), ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის—სათანადო თემალმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

3. სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალურ) და თემის აღმასრულებელ კომიტეტების დადგენილებებში აღინიშნება, რომელი რაიონისა და რომელი ცალკე დასახლებული პუნქტის მოსახლეობა უნდა იქნეს ვაწვეული საგზაო შრომის ბეგარზე წინამდებარე საბიუჯეტო წელს და აგრეთვე რა გზებისა და რა უბნებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული საგზაო შრომის ბეგარა.

საგზაო შრომის ბეგარზე მოსახლეობის ვაწვევის საკითხი გადაწყვეტილ უნდა იქნეს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ორი კვირის განმავლობაში.

ბაში დღიდან ამა ინსტრუქციის 1-ლ მუხ. აღნიშნული ორგანოსაგან შეტყობინების მიღებისა.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული დადგენილებით, უკეთეს საჭირო იქნება, გადაწყდება საგზაო შრომის ბეგარის დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული საკითხი სამუშაოს ადგილიდან დასახლებულ პუნქტამდე უკიდურესი მანძილის ვალიდების შესახებ. თემის აღმასკომის დადგენილება ამ საკითხის გამო დამტკიცებულ უნდა იქნეს სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალურ) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

4. საკავშირო მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობის შეკეთებაში მონაწილეობის მისაღებად საგზაო შრომის ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევის საკითხი განხილულ უნდა იქნეს სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალურ) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, წინამდებარე საბიუჯეტო წლისათვის საკავშირო მნიშვნელობის გზათა მშენებლობისათვის სამუშაოთა წლიურ გეგმის შედგენამდე: ა) თვით სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალურ) აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით, ბ) ხელისუფლების ადგილობრივი ძირეული ორგანოების შუამდგომლობით (თემის აღმასკომის ან სოფლის საბჭოს) და გ) ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველოს მიმართებით.

ამ საკითხების გამო სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალურ) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოტანილი დადგენილება, დასაბუთებული მოხსენებითურთ, ერთი კვირის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

5. განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილ საგზაო სამუშაოთა წლიურ გეგმების პროექტებში და მათთან შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვებში სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარა ანგარიშში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს მოსახლეობის ბეგარაზე გაწვევა ჩამოყალიბებულია ზემოაღნიშნული წესით.

6. ბუნების სტიქიურ მოვლენისაგან გაფუჭებული გზების შეკეთებისათვის, როდესაც მოსალოდნელია მოძრაობის შეწყვეტის საფრთხე (როგორც რესპუბლიკანურ და ადგილობრივ, ისე საკავშირო მნიშვნელობის გზებზე) საგზაო შრომის ბეგარაზე მოსახლეობის გასაწვევად საჭიროა სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება: საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის—სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალურ) აღმასრულებელი კომიტეტისა, ხოლო ადგილობრივ მნიშვნელობის გზებისათვის—თემის აღმასრულებელი კომიტეტისა.

შუამდგომლობას ასეთი დადგენილების გამოტანის შესახებ აღძრავს ადგილობრივი საგზაო ორგანო და გადასწყვეტს აღმასრულებელი კომიტეტი სსსრ-აფო წესით.

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნული წესით მოსახლეობის მიერ წარმოებული მუშაობა ჩათვლება საგზაო ბეგარის დებულების მე-6 მუხ. გათვალისწინებული სამუშაო დღეების უკიდურეს რიცხვში. ამ მიზნით, საგზაო

სამუშაოთა წლიური გეგმების შედგენის დროს მუშა-ხელის 7% იანგარიშება სტიქიური მოვლენისაგან გაფუჭებული გზების შეკეთებისათვის.

შენიშვნა 2. საგზაო შრომის ბეგარის დებულების მე-8 მუხ. არა ერკვლდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მოსახლეობა გაიწყვევა საგზაო შრომის ბეგარაზე, სტიქიური მოვლენისაგან გაფუჭებული გზების შესაკეთებლად, როდესაც მოძრაობის შეწყვეტის საფრთხეა მოსალოდნელი.

7. სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალურ) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო სამუშაოების წლიური გეგმის დამტკიცების შემდეგ, ამ გეგმების მიხედვით, განისაზღვრება საგზაო შრომის ბეგარით შესასრულებელ სამუშაოთა საკალენდრო განრიგება, რომლითაც ვათვალისწინებულ უნდა იქნეს საგზაო შრომის ბეგარის დებულების მე-11 მუხ. აღნიშნული ყველა საკითხი და აგრეთვე გამოარკვეულ იქნეს თითოეული საგზაო უბნის სამუშაოსათვის საჭირო მუშა-საქონლისა, კაპანზიდვის ტრანსპორტისა და ინვენტარის რაოდენობა. ამ განრიგების სათანადო ნაწილები ეცნობება თემის აღმასრულებელ კომიტეტს ყველა საჭირო მოსამხადებელი მოქმედებისათვის.

ამ გეგმის შედგენისათვის სახელმძღვანელოდ მიიღება საგზაო შრომის ბეგარის დებულების მე-8 მუხ. აღნიშნული წესი.

აღნიშნული საკალენდრო განრიგება შეთანხმებულ უნდა იქნეს ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანურ სამმართველოსთან იმ წესით, რაც ვათვალისწინებულა ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ 1927 წ. 27/IX დამტკიცებული „დებულებით გზათა სახალხო კომისარიატის მიერ ა/კსდსრ ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის საერთო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“.

შენიშვნა. რესპუბლიკანური მნიშვნელობის (სათანადო შემთხვევებში საკავშირო მნიშვნელობის) გზებზე საგზაო შრომის ბეგარით შესასრულებელ სამუშაოთა საკალენდრო განრიგების პროექტი შედგენილ უნდა იქნეს ადგილობრივ ტრანსპორტის რესპუბლიკანურ სამმართველოს მიერ და სათანადო სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალურ) აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმების შემდეგ, დამტკიცებულ უნდა იქნეს ამ უკანასკნელის მიერვე.

8. დამტკიცებული საკალენდრო განრიგების მიხედვით, თემის აღმასკომს გამოჰყავს მის მიერ განსაზღვრული მორიგეობით საგზაო ბეგარა-ვალდებული პირნი სათანადო ტრანსპორტით და ინვენტარით, სამუშაოს მწარმოებლის განწესების თანახმად.

შენიშვნა. თემის აღმასკომი მიღებული საკალენდრო განრიგების მიხედვით ანაწილებს ცალკე მეურნეობათა შორის საგზაო შრომის ბეგარის წესით საგზაო ორგანოების განკარგულებაში გამოსაყვან მუშა-საქონლისა, ტრანსპორტისა და ინვენტარის საერთო რაოდენობას.

ეს განაწილება მოხდება თვითიული მეურნეობის მუშა-საქონლისა, ტრანსპორტისა და ინვენტარის საერთო რაოდენობის მიხედვით და თვითიული მეურნეობის ძალღონის ვარაუდით.

9. საგზაო შრომის ბეგარაზე გაიწვევიან მხოლოდ უწყებულ რაიონში მუდმივად მცხოვრებნი ან ამ რაიონთან ტონებით თუ მეურნეობით მუდმივად დაკავშირებული პირნი.

საგზაო შრომის ბეგარაზე არ გაიწვევა:

ა) ის პირი, რომელმაც ავადმყოფობის ან დაშავების გამო დაჰკარგა შრომის უნარი სამუდამოდ ან დროებით;

ბ) ის პირი, რომელიც ნამდვილ სამხედრო სამსახურშია წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მუდმივ ან ცვალებად ნაწილში;

გ) ის პირი, რომელიც მუდმივ სამსახურშია სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში;

დ) მუშა სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საწარმოსი და აგრეთვე ბოვანო-გლეხი, რომელსაც ამა თუ იმ ადგილას თავისი საკუთარი მეურნეობა არა აქვს;

ე) ის პირი, რომელიც აღნიშნული ბეგარისაგან განთავისუფლებულია სათანადო სათემო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სხვა პატივსაცემი მიზეზების გამო.

10. საგზაო შრომის ბეგარაზე გაწვეული პირნი, მუშაობის დროს იკვებებიან თავის ხარჯით, სამუშაოზე გაწვეულთათვის სასმელი წყლის მიწოდება შეადგენს სამუშაოს მწარმოებელ ორგანოს მოვალეობას.

11. უკეთეს საცხოვრებელი ადგილი სამუშაოს ადგილიდან 8 კილომეტრზე მეტი მანძილით არის დაშორებული, საგზაო შრომის ბეგარაზე გაწვეულთათვის ლამის გასათევად საჭირო სადგომის ხარჯი უნდა გაილოს მუშაობის მწარმოებელმა ორგანომ და ეს ხარჯი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო ხარჯთაღრიცხვით.

12. საგზაო შრომის ბეგარა-ვალდებული პირი რომელსაც სურს ისარგებლოს დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული უფლება—ნატურალური ბეგარის ფულადი გადასახადით შეცელისა, მოვალეა განუცხადოს ეს წინასწარ სათანადო თემის აღმასკომს დებულების მე-15 მუხ. მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადგილობრივი წესებით განსაზღვრულ ვადაზე.

ამაზე უარის თქმა თემადმასკომს შეუძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს აღმასკომი გამორაკვევს იმ ფაქტს, რომ ამ ადგილას დასაქირავებელი მუშა ხელი საქმარისი არ არის.

13. პირადი შრომისა და ნატურალური ბეგარის ნაცვლად ფულადი თანხის გადახდის ვადას დაადგენს მახრადმასკომი ხოლო იმ ვარაუდით, რომ ეს თანხები შეტანილ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში არა უგვიანეს, ვიდრე შრომის ბეგარით განზრახული მუშაობის დაწყებისა, ე. ი. არა უგვიანეს მარტის 1-სა.

14. დებულების მე-12 და 13 მუხ. გათვალისწინებული წესით შემოსული თანხები ჩაირიცხება სათანადო სამაზრო აღმასკომის დეპოზიტში და დაიხარჯება გზათა მშენებლობაზე. პირველ რიგში აღნიშნული თანხები უნდა მოხმარდეს მუშა-ხელის დაქირავებას, ხოლო დანარჩენი თანხა შეიძლება დაიხარჯოს



სხვა საქიროებისათვის გზათა მშენებლობისათვის დამტკიცებულ საწარმოო გეგმების ფარგლებში.

15. ინსტრუქცია ესე შემოიღება სამოქმედოდ 1927 წ. ოქტომბრის 1-დან და შეფარდებულ უნდა იქნეს მიმდინარე 1927-28 საოპერაციო წელს, იმ მუხლების გარდა, რაც წლიურ გეგმებისა და საგზაო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვების შეთანხმების წესს შეეხება. მიმდინარე წელს საგზაო შრომის ბეგარა შეფარდებულ უნდა იქნეს იმ რაიონებში, სადაც იგი ვათეალისწინებულია 1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვებისა და წლიური გეგმების პროექტებით.

ამ რაიონებში საგზაო შრომის ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევა, მომქმედ საგზაო შრომის ბეგარის დებულების თანახმად, ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს 1928 წ. აპრილის 1-თვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველო საბჭოთა ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდიენის მაგიერ დ. აფციაური.

1928 წ. მარტის 30.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „კომუნისტი“-ს 79 №-ში 1928 წ. აპრილის 5-ს.

სახალხო კომისართა საგჟოს დადგენილებანი.

47. დადგენილება ს. კ. ს.

სამუშაო საათების განმავლობაში თათბირებისა და კრებების მოწვევის აკრძალვის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის მარტის 11-ს დადგენილება „სამუშაო საათების განმავლობაში თათბირებისა და კრებების მოწვევის აკრძალვის შესახებ“ („კომუნისტი“-ს 61/2104 №-რი 1928 წ. მარტის 15-სა) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველ მოადგილე ს. სტეფანოვი.

1928 წ. აპრილის 18.

ტფილისი—სასახლე.

48. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

მდინარე რიონზე ბორნების გადაკეთებისა და მათი მოვლის წესის შესახებ.

რადგანაც მდინარე რიონზე ნაოსნობა დაწყებულია და საქიროა, რომ ნავ-
 კურკლებმა დაუბრკოლებლად გაიარონ ის ადგილები, სადაც ბორნებია მოწყო-
 ბილი (ამ ეამად ბორნები მოწყობილია შემდეგ დასახლებულ ადგილებში: საჯო-
 ლიოში, საქოჩაიქიოში, იუვანეშში, ქეშონში, ეწერში, კოდორში, კარის-უბან-
 ში, ორპირში და სამტრედიამში), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო
 ადგენს:

1. დაევალოს ყველა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტსა და საბჭოს,
 რომელიც-კი ბორნის უშუალო ექსპლოატაციას ეწევა, აგრეთვე იმ ორგანიზა-
 ციას და კერძო პირს, რომელიც ბორანს ამუშავებს ადგილობრივ აღმასრულე-
 ბელ კომიტეტთან და საბჭოსთან დადებული ხელშეკრულების ძალით, მოაწყონ
 1928 წლის მაისის 1-მდე ბორნები შპილებით და სხვა ხელსაწყოთი, რითაც
 შესაძლებელი იქნება ბორნის ტროსის მდინარის შესართავამდე ჩაშვება.

2. შემოღებულ იქნეს წინა მუხლში აღნიშნული ბორნების მოვლის შემ-
 დგი წესი:

ა) ბორნის ტროსი, როდესაც ბორანი არა მოქმედობს, დაშვებული უნდა
 იყოს და

ბ) ნავკურკლის გავლამდე ბორნის ასამოძრავებლად აწეული ბორნის
 ტროსი, გემიდან საყვირით სიგნალის მიცემისათანავე, ჩაშვებულ უნდა იქნეს
 უკიდურეს სიღრმემდე.

3. ზედამხედველობა იმისათვის, რომ ბორანი სათანადო მდგომარეობაში
 იყოს და ისინი, ვისაც ბორანი აქვს, ამა დადგენილებას ზედმიწევნით ასრულე-
 ბდენ, დაეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართვე-
 ლოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 224 მუხლისამებრ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭ. საკმეთა მმართველ მოადგილე **ს. ხტეფანოვი.**

1928 წ. აპრილის 18.

ტფილისი—სასაზღვ.

49. დადგენილება ს. კ. ს.

1927-28 წ. აღმშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის საქირო ღონისძიებათა შესახებ.

აღმშენებლობის საქმის მოწესრიგებისა და მისი ღირებულების შემცირებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს საქართველოს რესპუბლიკანური ორგანოების ქვემდებარე ყველა საწარმოს და ორგანიზაციის—შეუდგეს ახალ შენობათა და ნაგებობათა აღმშენებლობას, უკეთუ ამისათვის დეტალურად შემუშავებული და სათანადო წესით დამტკიცებული ტექნიკური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა არა აქვს. იმ დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, რომელსაც განზრახული აქვს 1928 წლის სეზონში საღმრთაღმშენებლო მუშაობა აწარმოოს, სასწრაფო წესით უნდა დაამთავროს მთელი მოსამზადებელი მუშაობა სათანადო პროექტების შესადგენად და ყველა პროექტის სათანადო ორგანოებში გასატარებლად.

2. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს—სასწრაფოდ განსაზღვროს სხვა და სხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის აღმშენებლობისათვის საქირო ასიგნებათა საბოლოო რაოდენობა და მათთვის ფინანსების მიწოდების კალენდარული გეგმა. სათანადო დაწესებულებამ და ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს აღმშენებლობის კალენდარული გეგმა საფინანსო გეგმის მიხედვით და უნდა იზმაროს ღონისძიება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საღმრთაღმშენებლო სეზონისათვის მომზადების შესახებ ა/წ. თებერვლის 21-ის თარიღით გამოცემული დადგენილების აღსარულგებლად.

3. წინადადება მიეცეს ა/კფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და შრომის სახალხო კომისარიატს იზმარონ ყოველგვარი ღონისძიება მუშა-ძალისა და სა-აღმშენებლო მასალის ბაზრის მოწესრიგებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ზეჰოლნიშნული დადგენილებებს (საღმშენებლო სეზონისათვის მომზადების შესახებ) მიხედვით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაუყოვნებლივ განახორციელოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1927 წლის ოქტომბრის 26-ის თარიღისა და 83 №-ის ბრძანება საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომავალი ქონებული მასალის ფასის შემცირების შესახებ,—ისეთ ფარგალში, რომ ეს შემცირება იმაზე ნაკლები არ იყოს, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბრძანებით.

5. დაევალოს ა/კფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში—თვალყურით ადევნოს, რათა სისწორით შესრულებულ იქნეს სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბრძანება სხვადასხვა საზოგადოებრივი, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციის წარმოებაში ქონებული მასალის ფასის შემცირების შესახებ.

6. წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს იზმარონ სასწრაფო ღონისძიებანი ადგი-

ლობრივ დასამზადებელი მასალის (ქვიშა, ქვა, ხრეში) რაციონალური ამოღებისა და დამზადების ორგანიზაციის საკითხის შესასწავლად და ამ მასალის აღმშენებლობისათვის თვის დროზე მისაწოდებლად. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალება—ცალკე შეისწავლოს და გამოიკვლიოს საკითხი ადგილობრივი სააღმშენებლო მასალის შესახებ (გაჯი, ალემასტრი, თირი, სიბი, სალბაი მასალა).

7. დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ფინანსთა სახალხო კომისიარიატთან ერთად სასწრაფოდ შეიმუშაოს საკითხი იმის შესახებ, რომ სააღმშენებლო მასალის (ქვიშა, ხრეში, ქვა) მოპოების ადგილის საიჯარო ქირა შემცირებულ იქნეს 1927 წლისათვის დაწესებული ქირის 75 %-მდე და სათანადო დადგენილების პროექტი წარუდგინოს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიწათმოქმედებისა და ფინანსთა სახალხო კომისიარიატებთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს საკითხი ხე-ტყის მასალის ფასების შემდგომი შემცირების შესაძლებლობის შესახებ და სათანადო მოხსენება წარუდგინოს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს ერთი თვის განმავლობაში.

9. სამუშაო ხელფასის დანარიცხის უკიდურეს ნორმად დაწესებულ იქნეს 16 % მეშა-მალის ღირებულებისა, რათა ცალკე ლიმიტების დადგენის დროს ყველა ორგანიზაციამ და დაწესებულებამ იხელმძღვანელოს სათანადო წესები, რაც გამოცემულია აქსესრ სახალხო კომისარია საბჭოს მიერ 1928 წლის თებერვლის ნ-ს. საერთო რაოდენობა დანარიცხისა საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ ხარჯზე, როგორც არის, მაგალითად,—დაპროექტირება, ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, ცენტრალური და წარმოებითი აპარატების შენახვა და ტექნიკური ზედამხედველობა.—მთლად ნაგებობის ღირებულების 8 %-ს არ უნდა აღემატებოდეს.

10. დაევალოს საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო-სატექნიკო კომიტეტს დაინტერესებულ უწყებებთან ერთად სასწრაფოდ შეიმუშაოს დებულება სააღმშენებლო სამუშაოთა ფასების ცალკე რაიონების მიხედვით მოწესრიგების შესახებ და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს ეკონომიურ საბჭოს.

11. დაევალოს სააღმშენებლო-სატექნიკო კომიტეტს შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს ეკონომიურ საბჭოს სათანადო ინსტრუქციები და დებულებანი, რითაც მოწესრიგებულ უნდა იქნეს სააღმშენებლო სამუშაოთა პროექტების შედგენისა და ამ სამუშაოთა წარმოების საკითხები.

12. აღმშენებლობის საქმის გაიაფებისა და განმტკიცების მიზნით დაევალოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო სატექნიკო კომიტეტსა და ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს შეიმუშაონ საბინაო აღმშენებლობის სასტანდარტო ნორმები.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომი-
სარია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის სახალხო
კომისარია საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ხ. სტეფანოვი.**

1928 წ. აპრილის 20.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 94 №-ში 1928 წ. აპრილის 24.

50. დადგენილებათა ს. კ. ს.

საქალაქო მიწების რენტის გადასახდევინებლად ქალაქების კლასებად დაყოფის შესახებ.

თანხმად სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 2-ს დადგენილებისა „ქალაქების კლასებად დაყოფისა და რენტის უდიდესი განაკვეთების დაწესების საფუძვლების შესახებ“, აგრეთვე თანხმად ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. სექტემბრის 19-ს დადგენილებით დამტკიცებული (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 202) „ქალაქებად მდებარე მიწის ნაკვეთებისათვის რენტის გადახდევინების წესების“ მე-4 მუხლისა, —საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ადგენს:

1. საქართველოს სსრ ქალაქები, მათი ეკონომიური მდგომარეობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, საქალაქო მიწების რენტის გადასახდევინებლად, მიეკუთვნოს შემდეგ კლასებს და, საქალაქო მიწის კატეგორიებისა და კლასების მიხედვით, დაწესებულ იქნეს შემდეგი უმაღლესი უკიდურესი განაკვეთები რენტისათვის კვადრატულ მეტრ მიწაზე კაპიტალით:

ქალაქის სახელწოდება	მიწა, რაც უკირავს							
	ქალაქის კლასი	საკატორტულ საზღს და მის დახმარებულ შემთხვას.	საეკონომიური უნიონის	საქონლისა და საწოლის (აბო საფუძვლით), რომელიც საეკონომიური უნიონის მფლობელი	სამრეწველო საწარმოს (გარდა სახელმწიფო და მის კუთვნილ სამასალო, სასაბჭოთაო და სასაქონლო დახურულ საწოლის)	მშენებლის, ბოსტანის, ბაღის და სხვა ფორმის მფლობელთა სახმარისად, აგრეთვე სხვის. საწარმოს (გარდა სახელმწიფო) კუთვნილ სამასალო, სასაბჭოთაო და სასაქონლო და საწოლის	სახელმწიფო, საწარმო, რეზერვუარის, ბაზის, იმ უნიონის, რომელიც ამ საწარმოს დახმარებულ და ლა საწოლის	
1	2	3	4	5	6	7	8	
ოზურგეთი, ცხინვალი, შალვათაძე, ახალქალაქი, თბილისი, დუშეთი, ხესტაფორი, სენაკი, ზუგდიდი, ზონი და სოხუმი	I	1,5	6	3	2	0,5	0,5	
ბათური, სამტრედიო, ვიკო, თელავი, ბორჯომი, კიათურა, ახალციხე	II	3	12	6	4	1	1	
ფოთი	III	6	24	9	6	2	2	
სოხუმი	IV	9	36	12	9	3	3	
ქუთაისი	V	12	60	15	12	4	4	
ბათუმი	VI	15	80	20	15	5	5	
ტფილისი	VIII	25	120	35	25	8	7	

შენიშვნა. საეპრო საწარმოს კუთვნილი დაზღურული საწყობი, სათანადო ადგილობრივი საბჭოს შეხედულებით, გაეთანაბრება ან საეპრო სადგომს ან საეპრო საწარმოს კუთვნილ ღია სასაქონლო საწყობს.

2. სახელმწიფო დაწესებულებისა, სახელმწიფო საეპრო საწარმოს და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის რენტის განაკვეთები შემცირებულ უნდა იქნეს არა ნაკლებ 25 %-ისა იმ განაკვეთებთან შედარებით, რაც ადგილობრივი საბჭოს მიერ დაწესებულია კერძო პირთაგან დაქვრილი ანალოგიური მიწის ნაკვეთებისათვის.

3. რენტის განაკვეთები იმ საზედაპირო მიწის ნაკვეთებისათვის, რაც სახელმწიფო სამთამადნო და სამთასაქარბნო საწარმოს სარგებლობაშია წიალის საექსპლოატაციოდ, ხოლო იმგვარი ნაკვეთის გამოკლებით, რომელიც შენობას, საზედაპირო ნაგებობას და მათ ეზოს უჭირავს, — დაწესებულ უნდა იქნეს ისეთი ანგარიშით, რომ აღნიშნული განაკვეთები არ აღმატებოდეს სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთათვის დადგენილი უმაღლესი უკიდურესი განაკვეთების 20 პროცენტს.

4. იმ მიწის ნაკვეთებისათვის, რაც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ნაეთის პროდუქტებისა, ტყის მასალისა და სხვა ცეცხლსაშიში საშენი მასალის საწყობებს უჭირავთ, შეფარდებულ უნდა იქნეს სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთათვის დაწესებული განაკვეთები.

შენიშვნა. მიწა, რაც ისეთ კონტორას უჭირავს, სადაც საეპრო ოპერაციები სწარმოებს, დაიბეგრება საერთო წესით, საეპრო საწარმოთა მიწებისათვის დადგენილი განაკვეთებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ხ. სტეფანოვი.**

1928 წ. აპრილის 21.

ტელისი — სასახლე.

51. დადგენილება ს. ა. ს.

წერილი და შინამრეწველურ-ხელოსნური მრეწველობის გამოკვლევის შესახებ.

ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „წერილი და შინამრეწველურ-ხელოსნური მრეწველობის გამოკვლევის შესახებ“ ა/წ. მარტის 15-ს თარიღითა და მე-20 №-რით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის განსავითარებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ წერილი და შინამრეწველურ-ხელოსნური მრეწველობის მდგომარეობის ყოველწლიური შესწავლისათვის მოხდეს მიმდინარე წელს სა-

ქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთდროული სტატისტიკურ-ეკონომიური გამოკვლევა წერილი და შინამრეწველურ-ხელოსნური მრეწველობისა.

2. გამოკვლევის სრული, პროგრამულ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

3. ყველა შინამრეწველი და ხელოსანი, აგრეთვე წერილი სამრეწველო საწარმო მოვალეა მიაწოდოს ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ უფლებამოსილ პირთ ყველა, გამოკვლევის პროგრამით გათვალისწინებული ცნობა.

4. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიიწვიოს ხოლმე გამოკვლევისათვის სამუშაოდ სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამსახურში მყოფი თანამშრომელი-სპეციალისტი მრეწველობის სხვადასხვა დარგისა, რაზედაც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო სათანადო ორგანიზაციას უნდა შეუთანხმდეს.

5. მიენდოს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს განსაზღვროს მრეწველობის გამოკვლევის დრო და ვადები.

6. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, აგრეთვე კერძო პირმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებს აღნიშნული გამოკვლევის განხორციელების საქმეში.

7. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ვეალებათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ იმ პირთ, რომელთაც სოფლად მოუხდებათ მუშაობა, როგორც ღამის გასატარებლად უფასო ბინის მიცემით, ისე ზიდვის საშუალებათა შოვნის ვაადფილებით.

8. ამა დადგენილებაში აღნიშნულ მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის დანაშავე მიცემული იქნება კანონიერ პასუხისგებაში.

9. მიენდოს აფხაზეთის სსრ-სა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ამა დადგენილების განსავეთარებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭ.
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აპრილის 25.
ტფილისი—სასაბლე.

გამოქვეყნებულია „კომუნისტი“-ს 96 №-ში 1928 წ. აპრილის 26-ს.